



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სამშვიდოვო მოლაპარაკებები სომხეთსა და
აზერბაიჯანს შორის

ფარიდ შაჟიევი

198

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ფარიდ შაფიევი

**სამშვიდობო მოლაპარაკებები სომხეთსა და
აზერბაიჯანს შორის**

198

2023



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-5361-6

აზერბაიჯანი და სომხეთი ბოლო ორი წლის განმავლობაში, ყარაბაღის მეორე ომის (რომელმაც 2020 წლის 27 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე გასტანა) დასრულების შემდგომ, ჩართული არიან სამშვიდობო შეთანხმების პირობების თაობაზე მოლაპარაკების პროცესში, რომელიც პოტენციურად ამ ორ ქვეყანას სამომავლო უსაფრთხოებისთვის აუცილებელ პლატფორმას შეუქმნის. ასეთი ტიპის შეთანხმების მისაღწევად მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დამკვირვებელი ხშირად მიმართავს ინიციატივებს, რადგან გავრცელებული მოსაზრებით, ამ სახის შეთანხმებას შეუძლია სომხეთი-აზერბაიჯანის ურთიერთობის ახალი ფურცლიდან დაწყება და ეთნიკური დაპირისპირების დასრულების, მშვიდობის ხელშეწყობისა და შერიგებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

ნათელია, რომ კონფლიქტმა, რომელიც საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა, თავის სხვადასხვა ეტაპებით, რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების დროიდან თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პერიოდებში (1918-1920 წლებში და დღესდღეობით), მძიმე დაღი დაასვა ორივე ერს, შეიწირა რა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, მოიტანა უზარმაზარი მატერიალური ზიანი და დანერგა ყოვლისმომცველი ეთნიკური სიძულვილი. სამშვიდობო შეთანხმებამ კი შესაძლებელია ხელი შეუწყოს უკეთეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის.

სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეების ნარატივებისა და მოლაპარაკების პროცესში მათი პოზიციების უკეთ გასაგებად მოკლედ მიმოვიხილავთ კონფლიქტის ისტორიას. ისტორიული ფონი, რომელიც ასახავს სომხეთისა და აზერბაიჯანის ნარატივებს შორის აცდენას და წარმოქმნილი ცხარე დებატები, გვეხმარება კონფლიქტის ევოლუციის გაგებაში და გვაძლევს მინიშნებებს სამომავლო მიმართულებების გამოსაცნობად. ამ კონტექსტში, დასავლელი და რუსი აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტების ნაშრომებში წარმოჩენილი მიდგომები ემხრობა მოვლენათა აღწერის სომხურ ვერსიას, რაც შეიძლება რამდენიმე ფაქტორით ავსხნათ, უპირველეს ყოვლისა კი, ორიენტალიზმითა და კულტურული მიკერძობით, ასევე რიგ წამყვან დასავლურ ქვეყნებსა და რუსეთში უფრო ორგანიზებული და კარგად ფუნქციონირებული სომხური დიასპორის არსებობით.¹ ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ აზერბაიჯანული პერსპექტივა, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს განხილული და ჩართული ამ კონფლიქტის ნებისმიერ ობიექტურ ანალიზში.

მართალია, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული თანამედროვე კონფლიქტის პირველი ელემენტები უკვე 1987 წელს გამოჩნდა და პროვოცირებული იყო სომხური ირედენტისტული მოძრაობით, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა დროის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის/რეგიონის სომხეთთან გაერთიანებას, ორ ერს შორის მტრობის დასაბამი სათავეს იღებს 1905 წლიდან, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ფონზე. ორი ეთნიკური

ჯგუფი, ე.წ. „ძველი სიძულვილის“ რაიმე პრეისტორიის გარეშე, ერთმანეთს რუსული კავკასიის რამდენიმე გუბერნიაზე დომინირების სურვილით წაეკიდა. იმ წლებში სომეხი ნაციონალისტები პრეტენზიას აცხადებდნენ რამდენიმე რაიონზე, რომლებიც, 1918 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილი გახდა. მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლებამ სომხეთს გადასცა ზანგეზური/სიუნის ოლქი, ხოლო ყარაბაღი და ნახიჩევანი დატოვა აზერბაიჯანის შემადგენლობაში; 1923 წელს შექმნა ავტონომია, ჰიბრიდული სახელით „მთიანი“ (რუსულად „Горный“, რაც ნიშნავს მთიანს) და „ყარაბაღი“ (ისტორიული თურქული სახელი, რომელიც ითარგმნება, როგორც „შავი ბაღი“). ბოლშევიკებმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი ხანკენდში დააფუძნეს და სახელი „სტეფანაკერით“ შეუცვალეს, სომეხი კომუნისტი ლიდერის სტეფანე შაუმიანის პატივსაცემად. სომეხი ნაციონალისტებისთვის ყველა ეს რეგიონი წარმოადგენდა დიდი სომხეთის დანატოვარს, რომელიც, როგორც ისინი ამბობენ, ორი ათასი წლის წინ ამ და სხვა ტერიტორიებზე არსებობდა.

თანამედროვე კონფლიქტი დაიწყო 1987-1989 წლებში, საბჭოთა „პერესტროიკის“ დროს, როდესაც სომხეთმა ისარგებლა რა შესაძლებლობით, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე და სცადა ხორცი შეესხა აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული თავისი ირედენტისტული პრეტენზიებისთვის. ამ პროცესში სომხეთს ემხრობოდა ბევრი რუსი თუ დასავლელი ლიბერალი, რომლებმაც, ამ ეთნოტერიტორიული კონფლიქტის არსის ღრმა გააზრების გარეშე, მხარი დაუჭირეს სომხეთს, ქრისტიანული სოლიდარობისა და სომხეთის სათუო დემოკრატიზაციის საფუძველზე.

სომხეთის ეს ირედენტისტული მოძრაობა შეიძლება სამ პერიოდად გავიზაროთ:

1. **მიაცუმ/გაერთიანება, 1987-1991 წლები:** ამ წლებში სომეხი ნაციონალისტები იმედოვნებდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გამოყოფას და მის სომხეთთან გაერთიანებას საბჭოთა კანონიერი მექანიზმების დახმარებით. 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საბჭოთა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების თაობაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კონსტიტუციას. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება ცენტრალურმა საბჭოთა ხელისუფლებამ ბათილად გამოაცხადა. ამასთან, 1987-1989 წლებში სომხეთის საბჭოთა ხელმძღვანელობამ სომხეთში აზერბაიჯანული მოსახლეობის სრული ეთნიკური წმენდა ჩაატარა, რომელმაც აზერბაიჯანიდან სომხური მოსახლეობის ისეთივე გადინება გამოიწვია.
2. **თვითგამორკვევა, 1991-2020 წლები:** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომეხმა ნაციონალისტებმა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ გააცნობიერეს რა, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ დაუჭერდა მხარს აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების სომხეთთან მიერთებას,

ნინ წამოსწიეს მთიან ყარაბაღში მცხოვრები ადგილობრივი სომხების თვითგამორკვევის არგუმენტი. ეს გამოიყენეს, როგორც შესაძლებლობა, რომ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი ექციათ დამოუკიდებლად, მისი სომხეთთან მიერთების სამომავლო პერსპექტივით. იმის გათვალისწინებით, რომ ყარაბაღის პირველი ომის დროს (1992-1994 წლები) სომხეთმა შეძლო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისა და მისი მიმდებარე შვიდი რეგიონის (აზერბაიჯანის) ოკუპირება, სომხეთმა კარგად შეძლო ამ პერსპექტივის ყველა დონეზე დაეცვა. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისა და მის მიმდებარე შვიდ რეგიონში მოხდა აზერბაიჯანული მოსახლეობის სრული ეთნიკური წმენდა, მათი სახლები და დანატოვარი კი მიწასთან გაასწორეს, რათა ამოეძირკვათ ამ ტერიტორიაზე აზერბაიჯანელების ისტორიულად ყოფნის კვალი.

3. **დაცვითი სეცესია, 2020 წლიდან დღემდე:** ყარაბაღის მეორე ომში დამარცხების შემდეგ სომეხი ნაციონალისტები აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონში სომეხი მოსახლეობისთვის შექმნილი გარდაუვალი საფრთხის შესახებ ალაპარაკდნენ და ამის საფუძველზე ცდილობენ ხელი შეუწყონ მესამე მხარის საშუალებით სომეხი მოსახლეობის სეცესიას.

სამართლებრივი დოკუმენტები და საერთაშორისო მედიაცია

წლების მანძილზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო რიგი რეზოლუციებისა, რომლებიც ეხება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს. მათ შორის არის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (822, 853, 874 და 884), მიღებული 1993 წელს. ეს რეზოლუციები მოითხოვს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ყველა საოკუპაციო ძალის დაუყოვნებლივ, სრულ და უპირობო გაყვანას. მიუხედავად ამისა, თითქმის უკვე 30 წელია ეს დოკუმენტები შეუსრულებელი რჩება.

2015 წლის 16 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე *ჩიხაგოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ (Chiragov and Others v. Armenia)*, რომლითაც სასამართლომ დაადგინა, რომ სომხეთი ეფექტურად აკონტროლებს აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებს.² 1994 წლიდან მოყოლებული, სომხეთი უკანონოდ იყენებს ოკუპირებული ტერიტორიების ბუნებრივ რესურსებს, დაასახლა ეს რაიონები სომხეთიდან და შუა აზიიდან გადმოყვანილი სომეხი მოსახლეობით და ამ ტერიტორიებზე დააზიანა გარემო და აზერბაიჯანის კულტურული მემკვიდრეობა.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დინამიკის კარგად გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია 1992-2020 წლებში ეუთოს მინსკის ჯგუფის (რომელიც შეიქმნა 1992 წელს და რომელსაც უძღვებოდა საფრანგეთი, რუსეთი და შეერთებული შტატები) მიერ წარმართული მოლაპარაკებების მარცხით დასრულების ანალიზი. 1994 წლიდან მოყოლებული, პირველი ყარაბაღის ომის შემდგომ, როდესაც მხარეებს შორის მიღწეულ იქნა

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, უამრავი მცდელობა იყო, რომ გამოენახათ ამ კონფლიქტის პოლიტიკურად გადანყვეტის საშუალება. მიუხედავად ამისა, წლების მანძილზე გრძელდება „არც საომარი და არც სამშვიდობო“ მდგომარეობა, ზოგადად გაცნობიერებული, რომ ეს იყო ტიპური გაყინული კონფლიქტი, ხელახლა ესკალაციის რეალური შესაძლებლობის გარეშე. ეს მიდგომა აირეკლა მედიაციის სამუშაოში, უფრო კონკრეტულად კი, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად აცხადებდნენ, რომ სტატუს-კვო მიუღებელი იყო, თანათავმჯდომარეები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ ესკალაციის თავიდან აცილებაზე და არა – კონფლიქტის გადანყვეტაზე.

ამ კონტექსტში, სომხეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა სტატუს-კვო, მიეღო საომარი მოქმედებების განახლების აკრძალვის საერთაშორისო გარანტიები და არ გამოეყვანა თავისი ჯარები აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. აზერბაიჯანი, თავის მხრივ, ცდილობდა თავისი ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო შუამავლობით გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე განთავისუფლებას.

რადგან მოლაპარაკებებში წინსვლა არ იყო, აზერბაიჯანი იძულებული გახდა ინვესტიცია ჩაედო საკუთარი სამხედრო ძალების გაძლიერებაში და მომზადებულიყო საკითხის სამხედრო გზით გადანყვეტისთვის, თუკი, საბოლოო ჯამში, მოლაპარაკებები კრახით დასრულდებოდა. ამგვარად, 2016 წლის აპრილის დასაწყისში შეხების ხაზის გასწვრივ სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო ძალებს შორის შეიარაღებული შეტაკებების შედეგებმა მკვეთრად შეცვალა პარადიგმა რეგიონში. აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების წარმატებული კონტრშეტევის შედეგად, 1994 წლის შემდეგ პირველად აღიარეს რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე.

2007–2009 წლებში ეუთოს მინსკის ჯგუფის თანახელმძღვანელებმა შეიმუშავეს ე. წ. „მადრიდის პრინციპები“, რომელიც ითვალისწინებდა სომხური ძალების გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აზერბაიჯანის ლაჩინის რეგიონზე განსაკუთრებული ხაზგასმით და შემდგომში რეგიონში დროებითი საერთაშორისო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას მანამ, სანამ ლაჩინის რეგიონის სტატუსის თაობაზე კენჭისყრის ჩატარება გახდებოდა შესაძლებელი. „მადრიდის პრინციპების“ შემოღების შემდეგ გაგრძელდა პირდაპირი მოლაპარაკებები (ძირითადად, რუსეთის ძალისხმევით, რომ მხარეებს შორის შეხვედრის მედიაცია გაენია).

2018 წელს, ნიკოლ ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის თაობაზე მოლაპარაკებებში პროგრესის გარკვეული იმედი გაჩნდა. 2018-2019 წლებში გაიმართა მაღალი დონის შეხვედრები სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო მეთაურებსა და საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის. სამწუხაროდ, სამშვიდობო პროცესმა შედეგი არ გამოიღო, რადგან სომხეთის ხელმძღვანელობა რეალურად არ იყო დაინტერესებული

კონფლიქტის მოგვარებით. სომხეთის ლიდერის რამდენიმე პროვოკაციულმა სვლამ და განცხადებამ სერიოზულად შეარყია სამშვიდობო მოლაპარაკებები და დაამსხვრია ნდობა ახალი მთავრობის მიმართ. ამ პროცესს ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი დარტყმა მიაყენა მაშინდელმა სომხეთის თავდაცვის მინისტრმა დავით ტონოიანმა, რომელმაც 2019 წლის 29 მარტს ნიუ-იორკში, შეხვედრაზე სომხური თემის წარმომადგენლებთან, ხაზგასმით განაცხადა: „მე, როგორც (სომხეთის) თავდაცვის მინისტრი, ვამბობ, რომ „მშვიდობისთვის ტერიტორიების დაბრუნების“ ვარიანტი აღარ იარსებებს. მე ახალი ფორმულირება მივეცი ამას – „ახალი ტერიტორიები ახალი ომის შემთხვევაში“.³ ამასთან, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა 2019 წლის მაისში უარყო ეუთოს მადრიდის პრინციპები, რომლებიც, 2007 წლიდან მოყოლებული ქმნიდა მოლაპარაკებების საფუძველს. მან ასევე, მიუხედავად მინსკის ჯგუფის თანახემდღვანელების წინააღმდეგობისა, მოითხოვა მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლა და მოლაპარაკების პროცესში ოკუპირებულ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე შექმნილი სეპარატისტული რეჟიმის ადგილობრივი ხელმძღვანელობის ჩართვა. მან თავისი „ცნობილი“ დევიზი, „ყარაბალი სომხეთია“, პირველად წარმოთქვა 2019 წლის 5 აგვისტოს ხანკენდიში გამართულ პანამერიკულ თამაშებზე, რამაც დაასამარა მოლაპარაკებები და ცხადყო, რომ მხარეები ახლო მომავალში ვერ მიაღწევდნენ მოლაპარაკებების საკითხის გადაწყვეტას.

ვითარება გამწვავდა 2020 წლის ივლისში, 12-დან 16 ივლისამდე მონაკვეთში სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე ტოვუზის მიმართულებით მომხდარი სამხედრო შეტაკებების შემდეგ. ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია შორს იყო ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქიდან, ღიად მიანიშნებდა, რომ სომხეთი მიზნად ისახავდა „ახალი პოზიციების განმტკიცებას და რეგიონში დაძაბულობის გაზრდას“. მიუხედავად იმისა, რომ ეს თავდასხმა აღკვეთა აზერბაიჯანული მხარის საპასუხო ზომებმა, ამ ფაქტმა (თავდასხმამ) სერიოზული ეჭვი შეიტანა „ეუთოს მინსკის ჯგუფის თანახემდღვანელების მედიაციით სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შესახებ მოლაპარაკებების არსში“.⁴ დაბოლოს, სექტემბერში ბოლო წვეთი იყო პირველი სომხური ოჯახის გადმოსახლება ლიბანიდან შუშაში (აზერბაიჯანელებისთვის კულტურულად და ემოციურად მნიშვნელოვან აზერბაიჯანულ ქალაქში). ფაქტობრივად, წლების განმავლობაში აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სეპარატისტულმა რეჟიმმა, სომხეთთან და სომხურ დიასპორასთან ერთად, ხელი შეუწყო აზერბაიჯანის ტერიტორიებზე ათასობით სომხის უკანონო დასახლებასა და შემდგომ იქ ჩადენილ უკანონო ქმედებებს. სომხური წარმოშობის ლიბანელი ხალხის ჩასახლება 2020 წლის აგვისტოში მხოლოდ ამ პოლიტიკის უახლესი ნიშანი იყო. სომხეთის დამარცხებამ ყარაბაღის მეორე ომში მკვეთრად შეცვალა სიტუაცია ადგილზე. აზერბაიჯანმა გაათავისუფლა თავისი ტერიტორიები და 2020 წლის 9-10 ნოემბრის სამხხრივი შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და

რუსეთმა, რუსული სამშვიდობო კონტინგენტი განლაგდა აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონის ნაწილში. ამ შეთანხმების თანახმად, 1960 რუსი მშვიდობისმყოფელი იყო განთავსებული, სულ მცირე, ხუთი წლის ვადით ყარაბაღში საკონტაქტო ზოლისა და ლაჩინის მარშრუტის გასწვრივ, რათა მიმოსვლა ყოფილიყო სომხეთსა და ყარაბაღის მთიან ნაწილში მცხოვრებ სომხურ უმცირესობას შორის. იმავდროულად, 2021 წლის იანვარში, აზერბაიჯანის აღდამის რაიონში შეიქმნა ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ერთობლივი თურქულ-რუსული ცენტრი. გარდა ამისა, სომხეთს დაეკისრა ვალდებულება, რომ უზრუნველყო შეუფერხებელი წვდომა აზერბაიჯანის ძირითადი ტერიტორიიდან მის ნახიჩევანის ექსკლავამდე, სომხეთის ტერიტორიის გავლით.

მას შემდეგ ორივე მხარემ გაამახვილა ყურადღება სამხრეთი განცხადებიდან და რეგიონში პოსტკონფლიქტური განვითარებიდან მომდინარე გადაუჭრელი საკითხების გადაწყვეტაზე. აქ მთავარ საკითხად რჩება აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონის მიმართ სომხეთის ტერიტორიული პრეტენზია (თუმცა არაპირდაპირი ფორმით). ამ მიზეზით, აზერბაიჯანმა წამოაყენა წინადადება, დაწყებულიყო მუშაობა ტერიტორიული მთლიანობის ორმხრივი აღიარებისთვის (სამხრეთ კავკასიაში მტკიცე უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად).

სამშვიდობო შეთანხმება

2021 წლის 11 იანვარს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა: „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ისტორიას გადაეცა და ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავალზე, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად. როგორც მეზობლებმა – როგორ უნდა ვიმუშაოთ სატრანსპორტო არტერიების გახსნაზე და რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაძლიერებაზე“.⁵ შემდეგ მან არაერთხელ განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მზადაა ხელი მოაწეროს სამშვიდობო შეთანხმებას სომხეთთან: „თუ სომხეთი მზად არის ამისათვის, თუ ის მზად არის აღიაროს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, რომელსაც მთელი მსოფლიო ცნობს, მაშინ, რა თქმა უნდა, რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობა დამყარდება“.⁶

თავდაპირველად, მოლაპარაკებების პროცესში, რუსეთმა აიღო ინიციატივა და 2021 წელს მოაწყო ორი შეხვედრა: 11 იანვარს – მოსკოვში და 26 ნოემბერს – სოჭში. მოსკოვის შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სატრანსპორტო მარშრუტების გახსნაზე და უყურადღებოდ დარჩა ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმებით გათვალისწინებული ორმხრივი დიალოგი.

ვინაიდან 2021 წელს რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია, აზერბაიჯანმა დაიწყო სამშვიდობო შეთანხმებაზე კონკრეტული დისკუსიების გამართვა და

სომხეთს ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ ახალი, ხუთპუნქტიანი წინადადება გაუგზავნა. წინადადება გამოქვეყნდა 2022 წლის 14 მარტს და მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. ორივე სახელმწიფომ აღიაროს ერთმანეთის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობა და ერთმანეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა;
2. სახელმწიფოებმა ერთმანეთს დაუდასტურონ, რომ არა აქვთ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და მიიღონ სამართლებრივად აუცილებელი ვალდებულებები, რომ ამგვარ პრეტენზიებს მომავალშიც არ წამოაყენებენ;
3. თავი შეიკავონ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ერთმანეთის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნისგან, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მუქარისა და ძალის გამოყენებისგან, აგრეთვე სხვა გარემოებებისგან, რაც არ შეესაბამება გაეროს წესდების მიზნებს;
4. სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია, დემარკაცია და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება;
5. სატრანსპორტო კავშირებისა და კომუნიკაციების გახსნა, სხვა შესაბამისი კომუნიკაციების დამყარება და თანამშრომლობა ორმხრივი ინტერესის შემცველ სხვა სფეროებში.⁷

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის 31 მარტს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა გამოთქვა მზადყოფნა აზერბაიჯანთან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ⁸, ამ პროცესს მოჰყვა უკურეაქცია, განსაკუთრებით, 2022 წლის შემოდგომაზე.

სამშვიდობო შეთანხმებასთან დაკავშირებული ინიციატივა აიღო ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა, რომელმაც ბრიუსელში სამ შეხვედრას უმასპინძლა – 2022 წლის 6 აპრილს, 22 მაისს და 31 აგვისტოს (პირველი შეხვედრა სამმხრივ ფორმატში 2021 წლის 14 დეკემბერს გაიმართა), შემდეგი შეხვედრა იყო პრალაში 6 ოქტომბერს, სადაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი სპეციალური სტუმრის სახით მონაწილეობდა. სამწუხაროდ, სომხურმა მხარემ პრალის შეხვედრის შემდეგ მოითხოვა სამმხრივი ფორმატიდან ოთმხრივზე გადასვლა – მოლაპარაკებებში საფრანგეთის პრეზიდენტის ჩართვა, რაზეც აზერბაიჯანმა უარი თქვა, რადგან საფრანგეთმა არაერთხელ დაიკავა სომხეთის მხარე ყარაბაღის მეორე ომის მიმდინარეობისას თუ მას შემდეგ.

2022 წლის ზაფხული-შემოდგომის განმავლობაში რუსეთმა ღიად აჩვენა საკუთარი უკმაყოფილება ევროკავშირის მედიაციით და უფრო მტკიცედ ჩაერია მოლაპარაკებების პროცესში. სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერების 2022 წლის 31 ოქტომბრის სოჭის სამიტი განიხილებოდა, როგორც რუსეთის მცდელობა, განეახლებინა თავისი როლი. რუსეთმა ასევე წარმოადგინა სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. ყარაბაღის საკითხის მომავლისთვის გადადებას, რათა თავიდან აეცილებინა სომხეთის მიერ ყარაბაღის აზერბაიჯანის ნაწილად აღიარება. სომხური მხარე დათანხმდა რუსეთის წინადადებას, მაგრამ ოფიციალურმა ბაქომ უარი თქვა ასეთ შეთანხმებაზე.

უფრო მეტიც, ბაქოსა და ყარაბაღის რეგიონის სომხურ თემს შორის პირდაპირი კომუნიკაციის დაწყებით შემფოთებულმა მოსკოვმა ყარაბაღში გაგზავნა სომხური წარმოშობის რუსი ოლიგარქი რუბენ ვარდანიანი, რომელიც, როგორც ცნობილია, მონაწილეობდა საერთაშორისო მასშტაბის ფულის გათეთრებაში. რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმისა და ყარაბაღის არალეგალური ერთეულის „სახელმწიფო მინისტრად“ დანიშვნის შემდეგ მან მთლიანად ჩაშალა დიალოგი ბაქოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ყარაბაღის სომხებს შორის.

2022 წელი დასრულდა ლაჩინის გზის გამო აზერბაიჯანის ეკოლოგიური აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საპროტესტო აქციებით, რომლებიც მიმართული იყო სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაციისა და ამ (ლაჩინის) გზის არაკუმანიტარული მიზნებისთვის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ეკოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით საპროტესტო აქციებმა და ყარაბაღიდან ლაჩინის გზის გავლით ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვებამ აზერბაიჯანს თავისი სუვერენული ტერიტორიის კონტროლის უფრო ფართო პრობლემა გაუჩინა. სომხური მხარის მოთხოვნისგან განსხვავებით, რომ ლაჩინის გზაზე გავლის უფლება აზერბაიჯანის ვალდებულებაა, 2020 წლის 9-10 ნოემბრის სამხხრივ შეთანხმებაში არაფერია გათვალისწინებული იმის თაობაზე, რომ გზა შეიძლება გამოყენებული იყოს იარაღის, საბრძოლო მასალის გადასატანად და სამხედრო პერსონალის გასატარებლად. აზერბაიჯანმა ფაქტობრივ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ სომხურმა მხარემ ლაჩინის გზა 2021-2022 წლებში ნაღმების და სხვა სამხედრო ტექნიკის გადასატანად გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ ლაჩინი იყო პირველი რეგიონი ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მიღმა, რომლის ოკუპირებაც სომხეთმა 1992 წლის 18 მაისს მოახდინა. სომხებმა ნაციონალისტებმა ამ საგზაო კავშირის დამყარება სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიულ მიზნად მიიჩნიეს. ამგვარად იქცა ლაჩინი „მიაკუმის გზად“, რომელმაც სამხედრო მომარაგების საშუალება გააჩინა. 1993 წლის აპრილში სომხეთმა ორი მიმართულებით მიიტანა იერიში: საკუთრივ სომხეთისა და ყარაბაღის და აზერბაიჯანის სხვა რაიონის – ქელბაჯარის გავლით, რომელიც მდებარეობს ყოფილ ავტონომიასა და სომხეთს შორის.⁹

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი არსებულ ვითარებას „ჰუმანიტარულ კატასტროფას“ უწოდებს, რუსეთის სამშვიდობო ძალების და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) სატვირთო მანქანებს ამ გზის გავლით გადაჰყავდათ რეგიონში და მის გარეთაც სომეხი ხალხი და საქონელი. იმავედროულად, სომხური მხარე უარს აცხადებს, რომ უსაფრთხოების წესების დარღვევაზე მისი სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება მოხდეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით სომხეთის საჩივარი, შეტანილი ორ საერთაშორისო უწყებაში, წარუმატებელი აღმოჩნდა. 2022 წლის დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოში განიხილებოდა სომხეთის მოთხოვნა, საფრანგეთის მხარდაჭერით, მაგრამ საბჭოს სახელით გადაწყვეტილება არ მიღებულა. საფრანგეთმა მთელ რიგ ძალისხმევას მიმართა საბჭოში, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ სომხეთმა მოსთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ „აზერბაიჯანმა უნდა გახსნას ლაჩინის გზა“. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო იყო აზრი, რომ გზა აზერბაიჯანმა გადაკეტა.¹⁰

ვფიქრობთ, ლაჩინის გზაზე გამშვები პუნქტის მოწყობა გადანყვეტს ამ გზის არაჰუმანიტარული და სამხედრო გამოყენებისა თუ აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების პრობლემებს.

უსაფრთხოებისთვის კიდევ ერთი საშიშროებაა აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონში ჯერ კიდევ არსებული უკანონო შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც დიდი ხნის წინ უნდა გაეყვანათ სამხხრივი შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად.

ყარაბაღელი სომხების რეინტეგრაცია

ერთი სადავო საკითხი ეხება ყარაბაღელი სომხების ბედს. სომხური მხარე დაჟინებით მოითხოვს ყარაბაღისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას, მიუხედავად იმისა, რომ ერევანში ოფიციალური პირები ლაპარაკობენ არა გამოყოფაზე, არამედ სომხური მოსახლეობის უფლებებსა და უსაფრთხოებაზე. თუმცა, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები სხვადასხვა ფორუმსა და საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციასთან ხშირად ხაზს უსვამენ დაცვითი სეცესიის საკითხს და „არცახის დამოუკიდებლობას“.

აზერბაიჯანი ყარაბაღის ტერიტორიის ნებისმიერ სტატუსს განიხილავს, როგორც გზას მომავალი კონფლიქტისკენ და სომხებს სთავაზობს უფლებებსა და უსაფრთხოების გარანტიებს აზერბაიჯანის კონსტიტუციის შესაბამისად. აზერბაიჯანი ყარაბაღის სომხებს სთავაზობს ყველა იმ უფლებითა და პრივილეგიით სარგებლობას, რომელიც აზერბაიჯანის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს მინიჭებული.

სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, რომელსაც მოჰყვა 2020 წლის 9-10 ნოემბრის სამხრეთი შეთანხმება, აზერბაიჯანმა აღადგინა კონტროლი სომხეთთან სახელმწიფოთაშორის საზღვარზე, რომელიც არარეგულაციური იყო სომხური ოკუპაციის თითქმის 30 წლის განმავლობაში.

ამ კონკრეტულ საკითხს შეეხო აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილი სამხრეთი შეთანხმება. განცხადებაში რუსეთმა შესთავაზა საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის ერთობლივი სომხურ-აზერბაიჯანული კომისიის შექმნა, ამ პროცესში რუსეთის კონსულტანტის სახით მონაწილეობის საფუძველზე.

ეს საკითხი ასევე განიხილეს აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა 2022 წლის 6 აპრილს და 22 მაისს ბრიუსელში, ევროპის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის შუამავლობით გამართულ მეორე და მესამე შეხვედრაზე. ამ მიზნით, ბრიუსელში გამართულ 6 აპრილის სამიტის შედეგების შესაბამისად, მიღწეულ იქნა შეთანხმება აპრილის ბოლომდე ერთობლივი სასაზღვრო კომისიის მოწვევის თაობაზე. ამ კომისიის მანდატი იქნებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ორმხრივი საზღვრის დელიმიტაცია და სტაბილური უსაფრთხოების სიტუაციის უზრუნველყოფა საზღვრის გაყოლებაზე და მის მიმდებარედ.¹¹

2022 წლის 24 მაისს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვარზე პირველად, შუამავლების გარეშე, შეხვედრენ ერთობლივი სასაზღვრო კომისიები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ვიცე-პრემიერები – შაჰინ მუსტაფაევი და მჰერ გრიგორიანი. ეს იყო 2022 წლის 22 მაისს ბრიუსელში მესამე შეხვედრის დროს მიღწეული ურთიერთგაგების ხელშეასახები შედეგი.

ამასთან, ისევ არის დაძაბულობა სახელმწიფოთა შორის საზღვარზე, სადაც ხდება შეიარაღებული შეტაკებებიც, როგორც იყო, მაგალითად, 2022 წლის სექტემბრის ინციდენტი. სომხეთი ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანი 2021 წლის მაისისა და 2022 წლის სექტემბრის ქმედებების შედეგად სომხეთის ტერიტორიის მონაკვეთს აკონტროლებს. სომხური 30-წლიანი ოკუპაციის გამო დემარკირებული საზღვრების არარსებობისას საზღვრის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა მხოლოდ დელიმიტაციის პროცესის შედეგადაა შესაძლებელი. უფრო მეტიც, სომხური მხარე აგრძელებს რვა აზერბაიჯანული ანკლავის ოკუპაციას, სადაც ის იმყოფება 1991 წლიდან (დარჩენილ ერთ ანკლავს აზერბაიჯანი აკონტროლებს). სომხური მხარის კომენტარები ანკლავის საკითხზე, სამწუხაროდ, ცხადყოფს, რომ ერევანს სურს აზერბაიჯანმა ცალმხრივად აღიაროს საზღვრის სომხური ინტერპრეტაცია¹² (იხ. დანართი 1.).

ეკონომიკური და სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნა

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის 11 იანვრის სამმხრივი შეთანხმების¹³ დებულებების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერებმა, შეიქმნა სამმხრივი სამუშაო ჯგუფი ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კომუნიკაციის გასახსნელად და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მას შემდეგ სამუშაო ჯგუფის ათი შეხვედრა გაიმართა, შედეგი ჯერჯერობით ილუზიურია. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს გამოკვეთოს 2020 წლის 10 ნოემბრის სამმხრივი შეთანხმების მე-9 მუხლის განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯები, რაც ერთმნიშვნელოვნად იძლევა გარანტიას, რომ აშენდება ახალი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირები, რომლებიც დააკავშირებს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებთან და სომხეთი უზრუნველყოფს ამ კონკრეტული მარშრუტის უსაფრთხოებას, რომ „მოქალაქეების, მანქანებისა და საქონლის შეუფერხებელი გადაადგილების ორგანიზება მოხდეს ორივე მიმართულებით“. გათვალისწინებულია, რომ სარკინიგზო და საავტომობილო საკომუნიკაციო მარშრუტი, სახელწოდებით „ზანგეზურის სატრანსპორტო დერეფანი“, აშენდება 44-კილომეტრიანი ტერიტორიის გავლით, სომხეთის ფარგლებში, და გააერთიანებს აზერბაიჯანის მთავარ ტერიტორიას მის ექსკლავთან – ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. თუმცა, სომხური მხარე, როგორც ჩანს, აჭიანურებს ამ პროცესს.

სომხეთი ჯიუტად აცხადებს, რომ სამმხრივ შეთანხმებაში არ არის ნახსენები სიტყვა „დერეფანი“ და ამტკიცებს, რომ მან უნდა დააყენოს საბაჟო და სხვა გამშვები პუნქტები (მაშინ, როდესაც სომხეთი ითხოვს უკონტროლო გავლას ლაჩინის გზის გასწვრივ სომხეთსა და აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონს შორის). უფრო მეტიც, ერევანი ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანს სურს ზანგეზურის დერეფნისთვის ექსტრატერიტორიული სტატუსის მინიჭება.

2022 წლის 16 ივნისს, ბაქოს მე-9 გლობალურ ფორუმზე გამოსვლისას, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ამ საკითხს შეეხო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2020 წლიდან სომხები ლაჩინის გზით ყოველგვარი შეზღუდვისა და დაბრკოლების გარეშე სარგებლობენ, მაგრამ აზერბაიჯანელები იმავეს ვერ გააკეთებენ სომხეთის გავლით – ზანგეზურის დერეფანთან მიმართებით, რათა დაუკავშირდნენ ნახიჩევანს. მისი აზრით, ეს უსამართლოა და ზანგეზურის დერეფნის უახლოეს დროში გახსნა რეგიონში მომავალი მშვიდობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი გახდება და თუ აზერბაიჯანს არ ექნება ამგვარი წვდომა, მშვიდობაზე საუბარი რთული იქნება.¹⁴

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანი არ ცდილობს ზანგეზურის დერეფნისთვის ექსტრატერიტორიულობის სტატუსის მინიჭებას, რადგან 2020 წლის 9-10 ნოემბრის სამმხრივი შეთანხმებით დადგენილია, რომ მარშრუტს დაიცავს რუსეთის სასაზღვრო ძალები.

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა 2022 წელს გამოაცხადა, რომ სომხეთი მზადაა არსებული სამი გზის საშუალებით უზრუნველყოს აზერბაიჯანის კავშირი ნახიჩევანთან (აზერბაიჯანის). თუმცა, ეს გზები 250 კილომეტრამდე მანძილს მოიცავს და გაუგებარია, თუ როგორ შეძლებს სომხური მხარე გადასასვლელის უსაფრთხოების დაცვას (იხ. დანართი 2).

ამრიგად, სამმხრივი შეთანხმებით, ზანგეზურ/მედრის გავლით გადასასვლელის გახსნა რჩება სომხეთის მიერ აღებული ვალდებულებების მთავარ საკითხად.

ჰუმანიტარული საკითხები

არსებობს გარკვეული მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხები, რომლებიც გადაუჭრელი რჩება და ართულებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების მოგვარებას. ასეთია, მაგალითად, სომხეთის უარი დანაღმული ველების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, აზერბაიჯანის პატიმრობაში მყოფი სომეხი დაკავებულების მდგომარეობის სომხეთის მხრიდან არასწორი ინტერპრეტაცია, სომხეთის მიერ გამოვლენილი არათანამშრომლური მიდგომა, როგორცაა უარი ყარაბაღის პირველი ომის დროს გაუჩინარებულ აზერბაიჯანელთა ბედის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე და რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ჰუმანიტარული საკითხები განიხილეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების შეხვედრებზე, რომლებიც გაიმართა 2021 წლის 14 დეკემბერს, 2022 წლის 6 აპრილსა და 2022 წლის 22 მაისს და რომელთაც უმასპინძლა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ბრიუსელში. ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის განცხადებაში, რომელიც მოჰყვა პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან მეორე სამმხრივ შეხვედრას, ხაზგასმულია, რომ „დგას ყველა გადაუწყვეტელი ჰუმანიტარული საკითხის სრული და სწრაფი გადაწყვეტის აუცილებლობა, მათ შორის, დარჩენილი პატიმრების გათავისუფლება და დაკარგული პირების საკითხის დეტალური განხილვა. ამასთან, მან განაცხადა, რომ ევროკავშირი მზადაა მხარი დაუჭიროს ამ წამოწყებას. ევროკავშირი ასევე გააგრძელებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებების მხარდაჭერას, აგრეთვე ჰუმანიტარული განაღმვის მცდელობებს, მათ შორის, განაგრძობს საექსპერტო რჩევების მიწოდებას და გაზრდის ფინანსურ დახმარებას, ასევე, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების განვას, რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას.¹⁵

აზერბაიჯანის განთავისუფლებული ტერიტორიები წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ზონას, რომელიც შეიცავს უამრავ ქვეით-საწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს, ასევე აუფეთქებელ საბრძოლო

მასალას (UXO). აზერბაიჯანმა თავისი ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ დაიწყო ოპერაციები სომხური ძალების მიერ დატოვებული ნაღმების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალისა და სხვა საფრთხის გასანიეტრალეზად.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეიჰუნ ბაირამოვის განცხადებით, „განაღმვითი ოპერაციები მიმდინარეობს, მაგრამ ადამიანები კვლავ იხოცებიან. 44-დღიანი მეორე ყარაბაღის ომის დასრულებიდან დღემდე გათავისუფლებულ მიწებზე 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა ნაღმების აფეთქებას“.16 მანამდე, 2021 წლის 12 ივნისს, აზერბაიჯანმა 15 სომეხი ტყვე გადასცა რუკის სანაცვლოდ, რუკისა, რომელიც ასახავს 97000 ნაღმის მდებარეობას მანამდე ოკუპირებულ ალდაში. 2021 წლის 3 ივლისს სომხეთმა აზერბაიჯანს მიაწოდა დაახლოებით 92 000 ტანკსაწინააღმდეგო და ქვეთსაწინააღმდეგო ნაღმის რუკა, ნაღმების, რომლებიც ფუზულისა და ზანგილანის რაიონების ოკუპაციის დროს იყო განთავსებული ამ ტერიტორიებზე.

სომხეთმა განაცხადა, რომ მან აზერბაიჯანს წარუდგინა განთავისუფლებულ ტერიტორიებზე არსებული ნაღმების ყველა რუკა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შუამავლობით, 2021 წლის 4 დეკემბერს ჩატარებული მოლაპარაკებების შესაბამისად.17 მიუხედავად ამისა, 2 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა თქვა, რომ სომხეთის მიერ განთავისუფლებული აზერბაიჯანის ტერიტორიებზე განლაგებული ნაღმების რუკების უზუსტობა აწელებს ტერიტორიების ნაღმებისგან განმეიდის პროცესს.

მეორე ჰუმანიტარული საკითხი ეხება აზერბაიჯანის პატიმრობაში მყოფი სომხების მდგომარეობას. 2020 წლის 10 ნოემბრის სამხსრივი შეთანხმების მე-8 მუხლში, რომელმაც დაასრულა ყარაბაღის მეორე ომი, ნათლად არის განსაზღვრული, რომ „უნდა მოხდეს ომის ტყვეების, სხვა დაკავებულებისა და გარდაცვლილთა ცხედრების გაცვლა“. ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით, აზერბაიჯანმა გაათავისუფლა ტყვეობაში მყოფი, ტყვეების სტატუსის მქონე 70-ზე მეტი სომეხი და მოახდინა მათი რეპატრიაცია.

სამწუხაროდ, სომხეთის ხელისუფლების მიერ ფაქტების არასწორად გადმოცემისა და დამახინჯების გამო, ეს საკითხი საერთაშორისო საზოგადოებამ მკაფიოდ და ობიექტურად ვერ აღიქვა. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ „კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რომელიც განისაზღვრა 2020 წლის 10 ნოემბრის სამხსრივი შეთანხმების ხელმოწერით, არ შეიძლება აზერბაიჯანში დაკავებული ნებისმიერი პირი ჩაითვალოს ტყვედ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დივერსიულ და ტერორისტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით სომხეთის მიერ გაგზავნილი პირები, აღნიშნული სამხსრივი შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ არ განიხილებიან და არ შეიძლება ჩაითვალოს ტყვეებად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად და მათ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონ-

მდებლობის საფუძველზე. დაკავებულებს ექცევინ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და აზერბაიჯანის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც იცავს მათ უფლებებს“.¹⁸

აზერბაიჯანმა ასევე იპოვა და სომხურ მხარეს გადასცა ყარაბაღის მეორე ომის დროს დაღუპული 1600-მდე სომეხი სამხედროს ცხედარი. ამ ფონზე სომხეთი მუდმივად ავლენს არათანამშრომლურ დამოკიდებულებას და ჯიუტად ამბობს უარს ყარაბაღის პირველი ომის შედეგად დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგული აზერბაიჯანის 4000-მდე მოქალაქის ბედზე ინფორმაციის მიწოდებაზე.¹⁹

თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე ცდილობდა აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სეპარატისტული რეჟიმი დაემახინჯებინა იქ არსებული კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის წარმომავლობა და ამ მემკვიდრეობის გამოყენება²⁰. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ნებისმიერი ერის კულტურული და რელიგიური ძეგლების განზრახ განადგურება განიხილება, როგორც ომის დანაშაული.

მიუხედავად აზერბაიჯანის არაერთგზის მტკიცებისა, რომ მისი კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობა, როგორცაა მეჩეთები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, თეატრები და ა.შ., ნადგურდებოდა სომხური ოკუპაციის ქვეშ და მრავალი წლის განმავლობაში იუნესკოსთვის არაერთგზის მოწოდებისა, რომ ადგილზე გაგზავნილიყო ფაქტების დამდგენი მისია, არაფერი მოხდარა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყარაბაღის მეორე ომი დასრულდა, ე. ი. მაშინ, როდესაც სომხურმა მხარემ გამოთქვა შეშფოთება განთავისუფლებულ ყარაბაღში სომხური კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების ბედთან დაკავშირებით, მოულოდნელად იუნესკომ მოითხოვა მისიის გაგზავნა აზერბაიჯანში. ეს მიუთითებს ორმაგი სტანდარტების არსებობაზე, როდესაც საქმე ეხება ქრისტიანულ და მუსლიმურ კულტურულ და რელიგიურ მემკვიდრეობას. პოლიტიკური თვალთმაქცობის ასეთი უხეში გამოყენება, ცხადია, სამწუხაროა და, გულწრფელად რომ ვთქვათ, გაუგებარიც კი.

დასკვნა


სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად რჩება სამშვიდობო შეთანხმების დადება, რომელიც ეფუძნება ტერიტორიული მთლიანობის ორმხრივ აღიარებას. ამით უნდა დასრულდეს სომხეთის ტერიტორიული პრეტენზია აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონზე. თავის მხრივ, აზერბაიჯანი იმუშავებს სომხური მოსახლეობის რეინტეგრაციის მიმართულებით. ასეთი განვითარების საფუძველზე ორ ქვეყანას შეუძლია მოლაპარაკებებში ჩაერთოს დელიმიტაციისა და დემარკაციის, სატრანსპორტო კავშირების გახსნისა და უფრო ფართო ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მშვიდობამ შესაძლოა შექმნას პლატფორმა რეგიონული თანამშრომლობისთვის კავკასიის სამ ქვეყანას – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს – შორის.

სომხეთს არ შეიძლება ჰქონდეს მოლოდინი, რომ აზერბაიჯანი ცალმხრივად შეასრულებს ისეთ შეთანხმებებს, როგორცაა შეთანხმება ლაჩინის შესახებ და პატივს სცემს სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას მაშინ, როდესაც ერევანი თავს არიდებს თავის ვალდებულებას ზანგეზურ/მელრზე და ინარჩუნებს ორაზროვან პოზიციას ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანის სუვერენიტეტის საკითხზე.

სამწუხაროდ, 2022 წელს მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ სომხეთის შიგნით რადიკალურ ძალებს და, განსაკუთრებით კი, მის დიასპორას, ისევე, როგორც გეოპოლიტიკურ აქტორებს, რუსეთსა და საფრანგეთს, შეუძლიათ სამშვიდობო პროცესი მთლიანად ჩაშალონ. ამრიგად, რეგიონში უსაფრთხოების მდგრადი გარემოს უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო მტკიცე მოქმედება.

დანართი 1

რვა აზერბაიჯანული და ერთი სომხური ანკლავი.



დანართი 2



სომხეთ-ირანის საზღვრის გასწვრივ, სამხრეთით, 45 კმ სიგრძის ზანგეზური/მედრის გადასასვლელის გამოყენების ნაცვლად, როგორც ეს განსაზღვრულია 2020 წლის 9-10 ნოემბრის სამხმრივი შეთანხმებით, სომხური მხარე გვთავაზობს გზების (რომელთაგან ერთ-ერთი არის 214 კმ-ის, ხოლო მეორე – 250 კმ-ის სიგრძის) გამოყენებას ჩრდილოეთით, უსაფრთხოების მკაფიო გარანტიების გარეშე.

სურათი Caspian Post-სგან.

შენიშვნები

1. ფარიდ შაფიევი, „აზერბაიჯანელების ორიენტალიზაცია და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი“. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში: ისტორიული და პოლიტიკური პერსპექტივები, Routledge, 2022, გვ. 88–111 და ფარიდ შაფიევი, „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი: სტერეოტიპების დეკონსტრუქცია და საერთაშორისო სურათი“. აზერბაიჯანის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში, 1991–2018 წწ, Karolinum Press, 2020, pp. 12–27.
2. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-179554%22%5D%7D>
3. „ახალი ტერიტორიები ახალი ომის შემთხვევაში“, - ამბობს თავდაცვის მინისტრი. Asbarez.com, 1 აპრილი, 2019: <https://asbarez.com/new-territories-in-the-event-of-new-war-says-defense-minister/>
4. No:158/20, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://mfa.gov.az/en/news/noi15820nbsstatement-by-the-ministry-of-foreign-affairs-of-the-republic-of-azerbaijan-enru>
5. პრესაში განცხადებები გააკეთეს რუსეთის პრეზიდენტმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და სომხეთის პრემიერ-მინისტრმა. President.az, 2021 წლის 11 იანვარი: <https://president.az/en/articles/view/50071>
6. „პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ინტერვიუ, ტელეკომპანია CNN Turk-თან“ Azertag, 14 აგვისტო, 2021: https://azertag.az/en/xeber/President_Ilham_Aliyev_was_interviewed_by_CNN_Turk_TV_channel_VIDEO-1852985
7. სომხეთი აცხადებს, რომ „შზადაა“ აზერბაიჯანთან მშვიდობისთვის ევროკავშირის დედაქალაქში მოლაპარაკებების წინ, aa.com, 31 მარტი, 2022 – <https://www.aa.com.tr/en/europe/armenia-says-ready-for-peace-with-azerbaijan-ahead-of-talks-in-eu-capital/2551102>
8. სომხეთი აცხადებს, რომ „შზადაა“ აზერბაიჯანთან მშვიდობისთვის ევროკავშირის დედაქალაქში მოლაპარაკებების წინ, aa.com, 31 მარტი, 2022 – <https://www.aa.com.tr/en/europe/armenia-says-ready-for-peace-with-azerbaijan-ahead-of-talks-in-eu-capital/2551102>
9. ფარიდ შაფიევი, „აზერბაიჯანის ლაჩინის გზის თავსატეხი“, ეროვნული ინტერესი, 27 დეკემბერი 2022, <https://nationalinterest.org/feature/azerbaijan%E2%80%99s-lachin-road-conundrum-206061>
10. <https://www.mfa.gov.az/en/news/noi60022>
11. ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის განცხადება პრეზიდენტ ილჰამ ალიევიდან და პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან მეორე სამხრეთი შეხვედრის შემდეგ. Consilium.europa.eu, 6 აპრილი, 2022: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/04/06/statement-of-european-council-president-charles-michel-following-the-second-trilateral-meeting-with-president-ilham-aliyev-and-prime-minister-nikol-pashinyan/>
12. <https://jam-news.net/enclaves-islands-of-armenian-azerbaijani-confrontation/> და <https://eurasianet.org/armenian-and-azerbaijani-exclaves-back-on-the-agenda>
13. „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადება, 11 იანვარი, 2021: <https://president.az/en/articles/view/50070>
14. ილჰამ ალიევი დაესწრო ბაქოს IX გლობალური ფორუმის გახსნას 2022 წლის 16 ივნისს: <https://president.az/en/articles/view/56442>

15. ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განცხადება პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან მეორე სამხრეთი შეხვედრის შემდეგ. Consilium.europa.eu, 6 აპრილი, 2022: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/04/06/statement-of-european-council-president-charles-michel-following-the-second-trilateral-meeting-with-president-ilham-aliyev-and-prime-minister-nikol-pashinyan/>
16. „აზერბაიჯანის სამთო სააგენტო ერთი კვირის განმავლობაში 376 ნაღმსა და საბრძოლო მასალას ასუფთავებს“. Azernews.az, 25 ივლისი, 2022: <https://www.azernews.az/nation/197203.html>
17. იქვე.
18. „No:102/21, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის კომენტარი სომეხ ტყვეებთან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებზე, როგორც იტყობინება Human Rights Watch“ – <https://mfa.gov.az/en/news/no10221-commentary-by-the-press-service-department-of-the-mfa-of-the-republic-of-azerbaijan-on-the-alleged-cases-of-mistreatment-with-armenian-pows-as-reported-by-human-rights-watch>
19. აზერბაიჯანი უერთდება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გლობალური ალიანსის პირველ შეხვედრას. Today.az, 2022 წლის 12 აპრილი– <https://www.today.az/news/politics/218539.html>
20. AIR Center-ის ანგარიში „სომხეთის მიერ აზერბაიჯანული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მითვისება“, 2022, <https://aircenter.az/uploads/files/Cultural%20Appropriation.pdf>